

ქვეყნის 1930 წ. № 17

# ღღმს უცხოეთში



საქართველოს  
საბჭოთა-სოციალისტური  
რესპუბლიკის  
ბიბლიოთეკა-მუზეი  
ი. გრიშაშვილი  
საბჭოთა მეცნიერებათა  
აკადემია

12 558 27

— წითელი ღროვა არ მოგვცოდა, თორემ წითელი ქუჩა—ჩვენთვის მისაღებია.



# ჩელაქციის „ვირთხები“

სევა კალმაძე დაწინაურებული მუშაკორია. ამჟამად ის ერთ-ერთი განხეთის რედაქციაში მუშაობს და განაგებს „მუშათა ცხოვრების“ განყოფილებას.

რედაქციის თანამშრომელთა ერთ ნაწილს კალმაძე ათვალისწინებული ჰყავს:

- ალბათ რედაქტორობას მოელოს.
- ჩვენს ღროში ყველაფერი შეიძლება.
- მუშაკორია, ნუ ვხუმრებთ...

გველივით სისინებენ ისინი.

ბრავინ მოელოდა (თვით რედაქტორიც კი) რომ სევა კალმაძე, რომელმაც მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში შესძლო თავის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია რედაქციაში მუშაობისათვის გამოდგებოდა. მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა.

კალმაძე ჩინებულად ასრულებს მასზე დაკისრებულ სამუშაოს და მასთან ერთად სხვადასხვა საკითხებზე წერილებსაც ათავსებს განხეთში. განსაკუთრებით მისი პატარა ფელეტონები მკითხველთა ყურადღებას იპყრობს.

— ნეტავ როდის, ან სად შეიძინა ამ კაცმა ამდენი ცოდნა? — განცვიფრებით ეკითხებოდენ ერთმანეთს მისი ნაცნობები.

ჭარხნის მუშები, რომელთადაც ის ორი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა, ალტაცებით კითხულობენ მის ნაწერებს.

რედაქციის თანამშრომლები კი, რომლებიც ვერ იტანდენ კალმაძის „გულზე სკვებოდენ“ და მის წინააღმდეგ ჭორებსაც კი თხზავდენ, თითქოს მისი ფელეტონები რედაქტორის ყოფილიყოს და არა მისი.

— ვილაც რაღაცებს უჯღაბნის და მას კი თავი შურნალისტად მოაქვს...

— ვილაც კი არა რედაქტორი სჩადის ამას...

— არ უნდათ დაწინაურებულ მუშაკორს სირცხვილი აქამონ... ამბობდენ ისინი.

კალმაძე გრძობდა თანამშრომელთა მისდამი ასეთ დამოკიდებულებას, მან ზემოხსენებულ ჭორსაც ყურით მოჰყრა და ველარ მოითმინა:

- მაშ, თუ ასეა, კარგი!
- და მან გადასწყვიტა თავის დაცვა.
- ამხანაგებო! — მიმართა რედაქტორმა სარედაქციო ცოლეგის წევრებს და უახლოეს თანამშრომლებს, — ხვა-

ლინდელ სამისო ნომრის მასალები თითქმის საკმაოდ გვაქვს, მხოლოდ ამხ. კალმაძეს არაფერი მოუტანია.

— აჰა, შემოაკლდა?.. ალბათ თვითონ დაუწერს...

გადაულაბარაკეს ერთმანეთს თანამშრომლებმა.

— ამხანაგებო, — განაგრძო რედაქტორმა, — ერთი სანტერესო მასალა მივიღე, რომელსაც ხელს აწეოს ვინმე „ლახვარი“, დაწერილია ფელეტონის სახით, — ავტორს ეტყობა ნიჭი, ვფიქრობ გაუშვა ხვალინდელ ნომერში...

— წაიკითხე, წაიკითხე!.. გაისმა ხმები. რედაქტორმა ფელეტონი წაიკითხა, რომელშიც ავტორს გამოყვანილი ყავდა ისეთივე დამოკიდებულება რედაქციის თანამშრომელთა და დაწინაურებულ მუშაკორთა შორის, როგორიც იყო სენებულ რედაქციის თანამშრომლების კალმაძის მიმართ.

სანტერესოა, უნდა დაგებულოთ! — იმეორებდა რედაქტორი.

— რას იტყვით თქვენ? შეეკითხა ის იქ მყოფთ.

— არც ისეთია, რომ დაიბეჭდოს... სთქვა ერთმა.

— მისაღებია! სთქვა მეორემ.

— ავტორი უცნობია. არ შეიძლება მისი დაბეჭდვა! სთქვა მესამემ.

— ამხანაგებო, ფელეტონი ეხება აქტუალურ საგანს. რა დასამალავია, რომ რედაქციებში მოკალათებული არიან ისეთი პირებიც, რომელთა განწმენდა საჭიროა და აუცილებელი. ფელეტონი ამ საკითხს ეხება. ამიტომ ეს მასალა უსათუოდ უნდა დაგებულოთ!.. სთქვა რედაქტორმა.

— შეუძლებელია დაბეჭდვა, სანამ ავტორის ვინაობა არ იქნება გამოკვლეული... გაისმა ხმები.

— ავტორი აქ არის! წამოიძახა კალმაძემ.

— სად, არის სად? ერთხმად შეეკითხნენ მას.

— ავტორი მე ვარ! სთქვა მან. ეს სიტყვები ლახვარივით მოხვდათ იმთ, რომლებიც კალმაძის წინააღმდეგ ჭორებს ავრცელებდენ.


რედაქტორს სახე გაუბრწყინდა...

რედაქციის თანამშრომლებს „ენა მუცლოში“ ჩაუვარდათ.

მეორე დღეს საბირველმისო ნომერში, „რედაქციის ვირთხები“-ს სათაურით დაიბეჭდა ზემოხსენებული ფელეტონი, რომლის ავტორი სევა კალმაძე იყო.


შუმბარა.

## ჩვენი რეცეპტი თვითუღმა მწერალმა უნდა გაიაროს



მს სკოლა

და



მს სახელმძღვანელოები



# საკირველგაისო შესაკურთხევი

რომის პაპს

საბჭოთა კავშირის  
ომით უბღვერი:  
აცხობ „ბულღებს“ თუ  
„ინდულგენციებს“,  
მაგრამ დღეს, ალბათ,  
შიშით ლოვინში  
შეგეულები  
და შეგაციებს,  
როცა იხილავ:  
მზალ—მებრძოლ მშრომელს  
და წინც—მოსალოდნ  
გაწამაწიებს!

## ღმთაბრძნის

პარიზის ქუჩებს  
თუ ზომავს დინჯათ  
ან ბერლინისას  
სტკეპანის ღეტრდინგი,  
კისერში უქერს  
მას „ბალოს ქერქი“  
და დაქვს ნავით  
მოსვრილი დინგი;  
საბჭოთა კავშირის  
ისიც უბღვერის,  
საშიში არის,

## ტარღმის:

ძლიერი თვისი  
პოლისმენებით,  
ფრანკთა ქვეყანას  
ის მართავს რისხვით,  
ცნობილი არის  
მაგარი შუბლით  
და კომბინოვან  
ზნელ საქმის რიცხვით,  
ეაჰ, თუ აზრდელი  
დიდის კომუნის  
თავს წარმოადგეს  
უბრაოდ ციხებით!..

## ჩემბერღმის

გულში ამ შიშით  
მეც გავრბი მუნით,  
რომ გადავფონო  
მყის პა-დე-კალე,  
იქ ჩემბერღმნიც  
მოვიჩაბულო,  
შუბლი - მაგარი  
და გული - მყრალი,  
ღმერთო, მაშორე  
მის ულტიმატუმს!  
წმინდაო „მაკო“,  
ოჰ, შემიბრაღეს!..

## გმრგანის ს.დ.ას

არ დამავიწყოთ,  
გთხოვთ, ზევერინგი  
და იქვე—სისხლით  
გასვრილი ნოსკე,  
ღმერთო შეგცოდე,  
უმაღლური ვარ,  
რომ მიუღწერის  
მთავრობა მოსკე,  
აღსდევ „დოიტშე  
პროლეტარიუნ“,  
და მათ კუზებზე  
მოსცხე და მოსცხე!..

კოლონეთის „პოლკოვნი-  
კებს“.


თუ მოცხებაზე  
საქმე წავიდა,  
რათ დავივიწყო  
სლავიკი უნდა?  
არის პილსუდსკის  
მცირე გომია,  
ბედის ჩარხი რომ  
შემოუბრუნდა;  
ჯანლ-დაკარგულ ზღვაზე  
კურვას აპირებს,  
თუ ზომალდი არ  
გადაუბრუნდა!..

## სსოფლიო პროლეტარიატს

დასასრულ მინდა  
მთელს წითელ ლაშქარს,  
მსოფლიო მებრძოლ  
პროლეტარიატს,  
წინ მივეგებო  
და მივესალმო  
მის წითელ დროშას  
მაგარ - ტარღმანს;  
მტკიცე რიგებით  
მტკიცე რიგებით  
წავა, ვით ლავა,  
და ახალ მიზნებს  
ის წინ გაიტანს!..

მაზირა.

## ბელოვნების სასახლე



განუწყვეტელ „სამოუშაო“ კვი-  
რაზე.

# პ რ ი ტ ი კ ა 3

— ზრასტი შენ, პაპიროსი ზომ არ  
გაქვს, დარდიან გულზე ვარ!—ასეთი  
იყო ჩემი ნაცნობი პოეტის პირველი  
სალამი. პაპიროსი მივეცი.

— რა გაქვს სადარდო? სახელგამი-  
დან მიღებული პონორარის შეხანაბი  
ადგილი ვერ აბოვე თუ?

— არა, პონორარი შეგქამე წინდა-  
წინ...

— მაშ ფული არ გაქვს და იმი-  
ტომ!..

— არა, ფული უკვე ავიღე იფანსად.

— აბა რაღა გადარდებს, შე კაცო?

— სადარდელს მეტი რა მაქვს!  
არა, ერთი მითხარი, მე მწერალა ვარ  
თუ მხეჩქე?

თუ შენი ლექსების მიხედვით ვიშ-  
ჯელებო, შეიძლება კაცმა იფიქროს,  
რომ მხეჩქე ხარ, ან შეიბრუნე—გა-  
ვიფიქრე გულში, მაგრამ ხმა მალდა  
ვუპასუხე:

— რა უცნაური კითხვაა, ცხადია—  
მწერალი ხარ.

— მერე და, რატომ არაიფან სწერს  
ჩემს შეხანებზე? დაწერე პოემა—კაცმა  
კრიტიკა არ დამიწერა, დავბეჭდე  
მოთხრობა — ღუმილით მოპასუხეს,  
გამოვეცი ლექსების კრებული — არა  
ვითარი გამოძახილი, დავბეჭდე ესკი-  
ზები—სრული სიჩუმე. კაცი არ მა-  
კრიტიკებს, ეშმაკმა იცის რას ვწერ,  
როგორ უყურებს მას საზოგადოება.  
კაცო, კრიტიკა არ არის, კრიტიკა, ეს  
ბენიტო ბუაჩიძე ქვეყანას ვერ ვასწე-  
დებ და სხვა არაიფან იწუხებს თავს!  
გავთავდი კაცი უკრიტიკოთ... არა,  
ერთი მითხარი რათ უნდა ვიყო მე  
კრიტიკის გარეშე? ამისხენი, შენ ვეუ-  
ბნები: ჩემი ნაწერები კრიტიკის დაბ-  
ლა დვას თუ მალდა, რომ კაცი ყურს  
არ აპარტყუნებს ჩემთვის? აჰ? მი-  
თხარი!..

„უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველ-  
გვარი კრიტიკის დაბლა“ — მინდოდა  
მეპასუხნა, მაგრამ თავაზიანობამ და-  
მძლო და განუცხადე, რომ ალბათ  
კრიტიკის მალდა, თორემ ვინმეს  
რაიმი კი წამოცდებოდა.

აღლარ.

„ტარტაროზი“-ს  
შემდეგი  
ნომერი  
გამოვა  
11 მაისს



მე ვახლავართ თანამგზავრი მწერალი, ანუ პალატნიკი.

არაიან ისეთებიც, რომელთაც არ იციან თანამგზავრობა, მნაშენელობა, აქსიძრახისი არაფერია. განმარტოთ: თანამგზავრობა წარმოსდგება სიტყვა მგზავრობისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი კი სიტყვა გზისაგან. გზა, როგორც მოგვხსენებათ, შეიძლება იყოს რკინის, საჰაერო, საზღვაო, უბრალო გზატკეცილი, საურმე და ბაილიკი. მაგალითად, თუ თქვენ მუშაობთ მითიხართ და მეც თან მოგყვებით, მე ვიქნები თქვენ თანამგზავრი.

ასეა მწერლობაშიაც. ჩვენ, თანამგზავრი პოეტ-მწერლები, უმთავრესად არაფერს არ ვწერთ, მაგრამ ხალხში მივინც ვგვადებთ ხმას, რომ თანამგზავრები ვართ. პირადად მე დაწერილი მაქვს ერთი ლექსი ზაშქსზე და ერთსაც დავწერ რიონპესზე, როცა იგი დაიწყებს მუშაობას. საერთოდ, საქართველოში მწერლისთვის წერა არ არის სავალდებულო: ბევრია ისეთი, რომელიც არაფერს სწერს (ჩვენს შორის იყოს, რომც მონდომოს, არაფერი გამოუვა), მაგრამ მწერლის სახელს ატარებს და მწერალთა ფედერაციაშიაც ირიცხება. ისეთებიც არიან, რომელთაც ათიოდე წელია, არაფერი დაუწერიათ (ამაში არ შედის მოკითხვის წერილები).

ღილა, როგორც მოგახსენეთ, მე ვარ თანამგზავრი და ასე მიცნობენ კიდეც. ჩემი ლექსი ზაშქსის შესახებ, დაიბეჭდა კიდეც (ისე პონორარი იქნებ ვერც მიმეღო!) და ხალხი აღფრთოვანებულნი დარჩა.

უმთავრესად, ჩვენ, თანამგზავრები, გაჩუმებული ვართ, თუმცა, თითო-ორიოდა ისეთიც გვირეცია, რომელიც საერთო წესს არღვევს და პროლეტ-მწერლების ფეხის ხმას მისდევს.

თანამგზავრობა არ უარყოფს რევოლიუციონერობას და მართლაც, მრავალი ჩვენგანი დადებთად უყურებს რევოლიუციებს საერთოდ. წერით, მართალია ვერ ვწერთ პროლეტრევოლიუციაზე, მაგრამ ჩვენ რომ ვწერთ, პროლეტმწერლებისათვის ადგილი აღარ დარჩება და ამხანაგური გრძობა გვიკარნახებს ვაჭრემდეთ. მართალია, ამ სიჩუმეს პროლეტმწერლები სხვანაირათ ხსნიან, მაგრამ რა უყოთ, ჩვენ თანამგზავრები ვართ და ჩვენი ხელობა დუმილია.

ისე კი, ჩვენ სამჭოთა პლატფორმაზე ვდგვიართ და სათანადო დეკლარაციების შედგინას არასოდეს არ დავიზარებთ, ოღონდ შედით ჩვენს მდგომარეობაში და მხატვრული ლიტერატურის შექმნის შესახებ ნორაფერს დავგვაგალიბთ.

თანამგზავრული საღამათ: ტერსიტი.

## სახუთმაისო

დღეს ხუთი მაისია—  
გული შევებით ივსება.  
მწერლობის აისია—  
ჩნდება მისი ღირსება;  
დღეს აქ მწერალთა პარადს  
ჩაუვლის „ტარტაროზი“.  
ვინც არ ივარგებს არსად—  
აღბად შეუტევს „როზვით“!

დღლი რომ გაუმართავთ  
სახელგამის კარებზე...  
„უყვართ სიტყვა ქართული“  
მხოლოდ პონორარებზე!  
სახელგამის წინ ბოძილით  
ასე მიდის დღეები,  
და იმათი მიწოლით  
იზნიქება ხეები...

ტარზან.



მწერლები: მართალ-ერთო ბარონო სახვო თა კავშირში, მოხვეციტო პონორარი... მოხვეციტო ავანსი...

ახვ. ბარონი: — მოითმინეთ თქვენი ზიკრიბი! ზეხვციტო სიტყვის სასახლე უნდა ავაგო და ვემადებ...





ინგლისელი: — თეორ კბილებს მიჩვენებს, სამაგიეროდ გული შავი ექნება... ვერ მომატუილებს, უნდა ვსცემო! (სცემს).



# „რუსთაველიანა“

ჩვენმა დიდი ხნის გამოკვლევამ ძირიან - ფესვიანად გადმოაყიარაა მხატვრობა რუსთაველზე.  
ჩვენ ვამტკიცებთ, რომ შოთა რუსთაველი იყო გურული.  
ამის დასამტკიცებლად საჭიროა მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერი მკვლელობის ტყაოსანი"-დან.

**ურმა გენახა უცხო ვინმე,  
რომში ცრემლი მოეხოცა.**  
ლაბარაკში „რომე“-ს მხოლოდ გურულები ხმარობენ. სიტყვა „რომე“ ბევრ ადამიანს არის ნახშიარი და ყოველთვის „რომ“-ის მაგიერ „რომე“ სწერია:

**ვიცი, რომი განუწყვეტლად  
თვალთა დაწვი ვისეტყვია.**  
ეხლა შევხვით სხვა გამოთქმებსაც: **ქალო, არ იცი ხიში მოვალ,  
რა ჭირი მომიტყენია.**  
**ოღნიღბან ვამძებ აზგაზსა,**  
ესე არვისგან მხმენია.

ამ წმინდა გურული უარფონია და ისიც კუთხური. (ოდა ხომ გურულების საბატიო საცხოვრებელი სახლია).

**ქვემოთ:  
აწ ასმათი მოგახსენებს  
შველპაქსა ჩემგან თქმულსა.**  
„შველპაქსა“ მხოლოდ გურულები

ტყვიან და ისიც უბრალო ხალხში.  
**მინდა შველპაქი მასშია,  
რაცა შენ გარდაგხდომია.**

**მეფეო კარგი შველპაქი  
მე თქვენგან წამიღებია.**  
„შველპაქი“ დამახინჯებული გურული გამოთქმაა.  
ავიღოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

**„მირში მოდი, ლომო მწეხა  
შეგაურები, შემიყარე.**  
მათალია, „მერმე“-ს სხვებიც ხმარობენ, მაგრამ ყველაზე უფრო - გურულები.  
იქვე რამდენიმე ტაების შემდეგ: **ვარდი ჩემი არ დახტენების,  
შუქი შენი იმჟამ ა.**

„იეფად“-ს მხოლოდ გურული გლეხი იტყვის. (უნდა იყოს ლიტერატურულად „იეფად“).  
რაც შეეხება ევგენი დვალის მტკიცებას, რომ შოთა რაჭველია, ეს შეცდომაა, რადგან შოთა გურული იყო და, მაშასადამე, რაჭველი ვერ იქნებოდა.

მაგრამ პატივცემული მკვლევარი ევგენი დვალი რომ დაიკამაყოფილოთ. ჩვენ განვიხილავთ შოთას ზოგიერთ რაჭველ გამოთქმებს:

**რა ისარნი დაეღვივის  
მონანი ჰი მორთმიდეს.**  
არის კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ რაჭველი გამოთქმა:

**ავთანდილ ძმე მწის ტირილად,  
აღარას მოუბარია.**  
ან და ასეთი:

**მკურნალნი და დახტაქარნი  
წამალსა-ჰი მოგიტანდეს.**

მაგრამ რამდენიმე ასეთი რაჭველი გამოთქმა არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ შოთა რაჭველი იყო.  
დასასრულ ერთ ადგილს, რომელსაც ეხლა, ამ წუთში წაეაწყვი, კიდევ მოვიყვან:

**მე უხუცესმან უმცროსსა  
კაცი დავთხოვე ძე ნებით.**

სიტყვა „ქე“ იხმარება მხოლოდ გურულების გამოთქმაში. ეს წმინდა გურული სიტყვაა. ამის შემდეგ, ჩვენის აზრით, აღარავს ეჭვი არ შეეძარება შოთა რუსთაველის გურულობაში.

ხოლო, თუ მაინც ცდამაინც შეეპარება, ასეთი „ურწმუნო თომების“ მოსარყოფლობად, ჩვენ შემდეგს დავუმატებთ შოთას გვარისა თუ ფსევდონიმის შესახებ.

**„რუსთაველი“ წარმოსდგა „რუ-  
და, „თავი“-სგან.**

რუსთაველს... რუსთავს არაფერი აქვს საერთო „რუსის თავსთან“ როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, თითქმის მგონის ფსევდონიმს რაღაც ნათესაობა უნდა ჰქონდესო თამარის პირველი ქმრის გიორგი რუსის თავსთანო... თითქოსო მგონსაში სიძე-შვილის პატივსაცემად დაარქვა ასეთი გვარიო.

როგორც ზემოდ ვსთქვით, სვოსნის ფსევდონიმი (თუ ნამდვილი გვარი) წარმოსდგება „რუ“-სა და „თავი“-საგან.

**რუ-ნაკადულია, მდინარე.  
თავი-თავია, დასაწყისი, სათავე.**

გურიაში იცოდენ ასეთი სახელები რუს-თავი, ე. ი. რუს დასაწყისი, სათავე. გურიაში ეხლაც არის, მაგალითად, ხიდის-თავი... ერის-თავი... და ჩვენც გვგონია და არც ეცდებით, რომ მგონის ფსევდონიმი წარმოსდგება ხსენებულ სიტყვისაგან.

ამგვარად, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ შოთა რუსთაველი გურულია.

მისი ნამდვილი გვარისა და ვინაობის გამოკვლევა ევალება მონაილ ახალ მეცნიერებს.


მე ჩემი ეჭვი,  
მეტი არ შემეძლო.

ლევარსი.



ბაქანი:— იოსებჯან, შენ მგონი ფულს აგროვებდიჩემი ძეგლისათვის... ის ფული ხომ არ...





ყო შემთხვევა, როცა კოლექტივში გავზავ-  
ნილი პოეტი ტყეში ხეტიალს უნდებოდა.

— კაცო, ვილაც პოეტი გამოუგზავნიათ ჩვენს კოლექ-  
ტივში, ის უნდა იყოს?  
— პოეტი?




# ლიტერატურული ნოვატი

## აბაშელი


სოონის გუმბათს ჩამოსწმენს ზარი, ხატებს წაართვის "თოლლორგადები"

მოლი და აბოლუ გარემოთი კაცი არ გაამილო გულში ნაღები.



## 5. ზოგეთიელი.


იქ სუფსა, იქით კალაშა; ალაზანი და კოდორი, მხარზე მაქვს აკიდებული ლმქები ათი გოდოლი.



## 5. მიწისხვილი.

(პ. საყვარელიძეს)

კაცო ერთი მიწხარი, ვის მოუბარე ვიბი მე? იქ ბენიბო "მიკვეტს", იქით სუტირინი მე; ემოგრანტთა ბანაკშიც რა გქნა, მიწხარი რა გქნა შენი ქოჩიბე.



## ალ. მახარაშვილი.

მე გავასწარი ბარათაშვილს და ახალ ეპოქას დავადგი ფენი, ვისაც არ აჯერა წითქეში ჩემი ო, იმის გოგონას დაეცა მუხი..



ესლა მე თვით ყველას ვაქებ, არავისი არ მსურს უტრობა, ვფურცისტოც ვეღარ იტყვის! — "რობაქიძე არ გვეშრობა".

\*\*

## პარტიველი პოეტი ალაფის გუნდი

"შევირადელით ქალბები, შევიდნით ფარი, შუბი, რადგან ლექსს დაბეჭდვისთვის ჩვენ გვობლებს მუღამ ჩხუბი. ვერ უყურებთ მამაკაცებს, ურჯულებს თავდასულებს არვის პატრის აღარ სცემენ, არც მადამებს, არც ასულებს.

\*\*


## რაჟღენ გეზაძე.

პოეზიაში შევედი ზოგორც იესო ვირებით კვლავ პროზა გამოვცოტებლე 9 ახალ-ახალ გვირგვინით დაგებულე თუო და ბოთი ესლა გსურე ჭია-კოყონას იქ შეერთავ მებრძოლ კომუნარს, გერდ ათევირებულ გოგონას.

\*\*




ბიბ. ტაბიძე



პოსტ. გამსახურდია ვისაც რა უნდა შევირადეს სულ სხვაა ჩემი ტრფილი: მიყვარს ახალი და მიმინო, და წიხის კალის ფრიალი. ვამზობ ჩემი წინებით განსაკუთრებით "ტაბუ" -თი, მაქვს ოღა დავსწერე; მიიხრეს: "არ კმაზა საბუთი".







### ბალ. ტაბიძე

ფადრეობაც, წიკრილს გურბ  
გაღაქვითან პირადით იმ,  
აღარაფრად არ ვარგობარ  
მერყობა თუ არ დათამი  
ესლა გვიინდა ჩვენ შეყოლიობა  
ბოჭყინდელ და ჩინებულნი,  
ძველი დამთიმე ახლისათვის,  
ნუ ხარ გადაჯანტული,  
ღვინო დამისხი,  
ღამასი ღვინო,  
არქედელს სული, როგორც რიონი;  
როგორც ერთია  
ძველანა მთელი  
ისე ერთი ვარ გალაქტიანი.




### პ. იავაჯილი.

ჩემს სოფელს არავინაში,  
მე რომ კარს კარებ  
ღვინს დაუტოვე  
თუბს აღმასკომმა  
თურომ კოლექტორმა  
შენი შეივება  
მე კი ტყუილად ვარ  
ჩემს ზღვას ვერტყნი  
და თან მე ვფიქრობ  
ახლა ნადირობს  
ყარიაზის ველზე  
რომე სვლან ვანა?!

### სანდრო ეული.

ამბობენ:  
პროლეტაროლების  
პიონერი ვარ  
ერთგული; —  
ნიტაი  
ბოიღის გამოცა  
ჩემ ლექსთა  
სრული კრებულნი;



### ბრიგადავილი

რა კარგია მოცილობა,  
კონტა ქალის მოკლე კაბა,  
ნეტაე მასში ჩამაქოვა,  
ნეტაე მასზე გადაბაბა.  
ჩემი სული აზიზია,  
ქალის ეშით ბლასსული,  
იოქროს ფეხს“ დავიწყებს  
ვერ იბრანს ჩემი სული.

### პ. სამსონიძე.

ორი წლის წინათ დეტურნი  
ერთი ქართული პიესა  
როგორიებმა აწამეს,  
გასწიეს, გამოსწიეს.  
მოხეტელი კაცი, ეცაკცი,  
თმებში განიზნდა ქალარა,  
მეგრამ მის დადგმა სცენაზე  
აღარ მოეცქრა აღმარა.

### ბრიგადი რობაქიძე

მე ჩემი გველის პერანგით  
შემესულ ქვეყნის ბიფთობა,  
დღეს შოფლით სხელი მაქვს  
რალით მინდა თქვენი ქება.

### პარლამ რუსხაძე:

ჩემის დიდების  
ჩემცენა  
მზე ანთებული,  
ტკბილი წარსული  
აღარასდროს  
არ დაბრუნდება;  
გაქრებაში თუ  
შფერლობაში  
ვიყვებ ქებულნი,  
ღღეს კი,  
რალა ვარ,  
ორივე ქურჭი  
მიზად მიბუნდება  
და ჩანგისა თუ  
“როტის“ სიმი  
ერთად ღუფდება.

### ალ. აბაშიძე:

ერთ ბედ ქვეშ ვართ.  
ვარლამ, მე და შენ;  
წილათ გვაარაგუნეს  
შხამის ზედაშე.  
ნუ დამბლონდი:  
შენ სასახლეში.  
რაგბს რომავენ,  
ვერ გამოვიცა,  
აფსუს ტფილელი  
ყოთაოქალი;  
იზიოქალაში  
სუფრა მივიცა,  
დაძკარ მეზურენე;  
შე გველის-მეწილი,  
ასწიეთ ყანწი,  
გავიციეთ რიხია,  
“ლამაჩანაგმა“  
შეჯერს გადოვრბოლი.

### ი. შვიგადავილი:

შეგირტეთი ქაბარანჯალი  
შეგირტეთი ჩახანაშალი,  
რომ დაიფიქეთ სამშობლო

ღარობათ ნუ გიგფილებთ,  
გზოგზოვრობ და გეგფობ  
ახალ სტენარის ფულუბით.  
იჭირა შემოვიარე  
ოღიში და აფხაზეით  
ვინც მე ბატონი მცა ვაქმე,  
ერთმა კაცმა რა ვენა მეტი.

### ლ. კახავაძე:

ნეტავი რასა ტუტუტობ,  
რას გარეგებს შენი ხატები,  
სიონში ლოცვას მიარჩენის  
დახლზე მელაგობს კვარცხები,  
წაგულ და სამიკიტროში  
მმანაქებს მივებატები,  
შენ კი, შენი ხის ხანჯლებით,  
შეიარაღე კატები!...

### მ. კუჩუგაძე:

სად ყოფილბართ,  
რა გინახეთ,  
მ. ტახიძე  
არ გინახეთ?  
ყველანი  
როგორ არა:  
რუსთაველზე  
მიღიოდა  
მალზე-მალი,  
ვერცხეხავით,  
მზიანობადა  
მეტყობოდა  
იქნე მთხარაღი

### მ. კუჩუგაძე:

გ. კუჩუგაძე  
ტოლს სწამებთ:  
მე და იბან  
ბოიგების წინ  
დავღეთ ფიცო,  
როდ ალკოგოლ  
შეგებობოლით  
სიფიზილით და  
მწერ სიმტკიცით:  
ყველანი  
მე-პა-პა-პა,  
ვალე გნახათ,  
რომ იორიეს

რა აბეგბა გენაცვით,  
რა დოზანა და თბობა,  
ყველა მოუტყეს მოუნდა  
დასწეროს გიგლი მოთბობა,  
შურნალბი, აღარ სყოფენთ,  
ყველამ წაიბრეწა ენი,  
მიოზარით, საღდა დატეკლო  
მე გარაბდული არსენა.

# გ რ დ ე ბ ა

### დავრდელი

ფიცო, ვალი  
და ერთბაგის  
ვერ არჩედვეთ,  
ისე მეგრა  
ღვით მიფრიალი.

### ბალ. ტაბიძე:

გზა მომეცით,  
ჩამოღექით,  
რას გავგაშებთ,  
რასს პეფევი!  
სხვის ბაიბარში  
რას დასწრებით  
ყველილების  
დასაკრეფით?  
ნუ თუ არ მცნობი  
ვილაქტიონს  
პოეტების  
კარიალ-მეფელ?  
ყველანი  
ეაბა, ეაბა  
გაუნაოჯონ  
ჩვენს უღიდეს  
ღვწე-შეკასი;  
დაფნის ფოლით  
თაქს უმკობდეთ,  
პოეზიის გვირგვინთან,  
გადაკტიონ ტახიძე  
გელაგულობს)  
გ. კუჩუგაძე  
წამო, ამო,  
მაკ იბრებთან  
რას იტყვებ  
ტყენს და კეფას;  
წამო, გატყვით  
ინდუსტიის  
ბიოქლოტრ  
ტოლს და ჩეფას,  
(თბილისი გავიბ)



# ვიცოდი, რასაც იტყოდა...

გარდაიცვალა პოეტი ცქნაფაძე.  
ეს სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით მოედდა მთელ საქართველოს.

ზელოვანთა სასახლის დიდ ღარბაზში გაიმართა სამ-გლოვიარო საღამო ცქნაფაძის მოსავგონებლად.

— სიტყვა ამხანაგ ბაქაძეს ეკუთვნის! — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

კათედრაზე გახსნა 30—35 წლის კაცი, უღვაშ შეპარსული. მიმინოს თვალეებით. წელში მოხრილი. მის სახეზე გლოვის ნაცვლად შედიღურება იხატებოდა.

— ამხანაგებო! — დაიწყო მან: — მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. დაობლდა ჩვენი მწერლობა!.. აღარ არის პოეტი ცქნაფაძე... მე მას ბავშობიდანვე ვიცნობდი. მას გავიყვებით მოსწონდა ჩემი ლექსები. ერთხელ მე და ის მოსკოვში გავემგზავრეთ. ქართული კულტურის სახელი ვინახულეთ. მე იქ ბევრი ნაცნობები ვნახე. სხვათა შორის გავიცანი ერთ-ერთი კომპერატიული გამომცემლობის ხელმძღვანელი, რომელმაც გენიოსურ შემოქმედებათ აღიარა ჩემი ლექსები და საქართველოში მისი დაქირებებით გამოცემა სხვადასხვა ევროპულ ენებზე... ეს იყო მისი უკანასკნელი შეხვედრა ჩემთან... მაშინ მე ერთი რომანი დავამთავრე და ახალი დრამა დავიწყო. ჩემი დრამის პროექტი ამხანაგებს გავაცანი. ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ... მე მას მოკლე ხანში დავამუშავე და გამოვაქვეყნებ... — დამთავრა ბაქაძემ თავისი „მოგონება“ „პოეტ ცქნაფაძის შესახებ“..

გაისმა ტაში...

იგუგუნდა ღარბაზი...

და აღფრთოვანებულ „მგლოვიარე ქირისუფლებს ან უკეთ რომ ვთქვათ, აუდიტორიის „ვაშის“ ძახილმა დაფარა მისი უკანასკნელი სიტყვები.

— სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ბუქაძეს! — წარმოსთქვა ისევ თავმჯდომარემ.

— ვაშა! ვაშა! — გაისმა ტაშის ცემა ერთი კუთხიდან, სადაც ბუქაძის ლიტერატურული ჯგოფის წევრები ისხდნენ.

— მე, — პოეტი, მოაზროვნე და ფილოსოფოსი!... მე—კრიტიკოსი და მარმარილოს სიტყვითა გამშლელი არა ერთი და ორი მწერლის შემოქმედებაზე, მე—მოგვი და ჰენიოსი ბუქაძე ვაღიბებულად ვფვლით თავს გაგაცნოთ ჩემი მოგონება დაუფიქრარ პოეტ ცქნაფაძის შესახებ. მე მუდამ ტუბილი განკადრით ვადვენებდი თვალს პოეტ ცქნაფაძის შემოქმედების განვითარებას. მან მე პირველად უცხოეთში მნახა... შემდეგ ის მე შემხვდა ლენინგრადში... მე ეხლაც მახსოვს მისი ჩემთან შეხვედრა... მე მაშინ ნევის ნაპირზე ვასვენებდი ჩემს აღმოსავლეთის გუზგუზა მზის ელვარებით ანთებულ თვალებს. ჩემი ფიქრები მაშინ ზღვის ქაფის საშოდან გაშოსულ ვენერას ნაწნავების გარბევას ვავლად... და სუნთქვა ჩემი იყო საბელ ბაგიდან აწყვეტილ ბუღასავით ვნებანი, მძიმე და მალი... მე მაშინ თვალი ჩემი ნევის მთორე ნაპირს დავასვენე... გაღმით ჩემს პირდაპირ ქაზე ჩამოვდებ პეროვანი, ჩაფსკენილი, ქორვა კუხარკა, რომელმაც თეთრი გედლით ცალი ფეხი წყალში ჩაასვენა, გაარხა, და ფეხი წარმტყცი იფი, ფეხზე გადიკვანტრილა. უცებ მე დავინარე და წყალში დავინახე სახე ჩემი... და მხერა ჩემი გავდა ჯადოსნურ გამოხედვას ვნებით აღტყვი-

ნებულ ჭაბუკ გოეთესას და ჩემს სხეულში აჩქედდა სისხლი, სისხლი ჯადოსნურ ფსიქეას მტევნებით დამთვრალი ეროსისა... ასეთი იყო ცქნაფაძის შეხვედრა ჩემთან... —დამთავრა მან.

— სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ყინწაძეს! — გამოაცხადა ისევ თავმჯდომარემ.

შე დავიხურე ქული და გარეთ გამოვედი.

ვიცოდი, რასაც იტყოდა...

მედუზა.

## კოტე სახელგამში




კოტე ურცხვამირაშვილი:—ნიკოლო მიწიშვილთან მაქვს საქმე, და სად იქნება, ნეტავი?  
მიწიშვილი:—აგერ ვარ, კოტე!



# ასალგაზრდა მხატვართა კონკურსის შედეგი

ნახ. გოკუჩავასი, ქუთაისი



— შეხედე, ქალო, „ზაკტოც“ მარხულობს! ისე კი გაიძახიან—ღმერთი არა გვწამსო.  
— ალბად ხორცი არა აქვთ, თორემ...

ნახ. ლომიძის, ქუთაისი



— კაცო, ხად მიდიხარ ამ ქვევრებით და ბოქვებით?  
— წუალზე მივდივარ... მეთუღუხებებს ხეზონი ვაუ-  
დის წუალსადენის გაყვანის გამო გამწარებული არიან და  
წუალი გააძვირებს, ტყავს გვაძრობენ.

ნახ. ლაშხინასი, ლანჩხუთი



ლიცო:—ნოქარი ხევერიანე დაუქერიათ? აწი ვინ გამოგვატანიებს საქონელს კოლოერატივიდან?

ილიკო:—მაგაზე დარდობ, კაცო?! იმაზე იდარდო, რომ ვირის აბანოში არ გვატუციონ თავი იმ ბავშვის მოტყუებისათვის.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ასამდე ასალგაზრდა მხატვრებმა.

შიურის მიერ ჯილდო მიეცა, თვითმულს 10 მანეთი, სამ მხატვარს:

1. გოკუჩავა ვლადიმერ, სალგ. ქუთაისი, ელმფირალი.

2. ლაშხია ვახტანგი, ლანჩხუთი, ლენინის ქ. № 57.

3. ლომიძე გ., ქუთაისი (მოწაფე).

ჯილდო დღესვე ეგზავნებათ აღნიშნულ მისამართებით.

სხვა მხატვრების მოწონებული ნახატები დაიბეჭდება „ტარტაროზი“-ს შემდეგ ნომერებში და მხატვრები მიიღებენ ჩვეულებრივ ჯონორარს.

## ქუთაისის თანამშრომლების საყურადღებოდ

ზაბათს, 8 მაისს, ქუთაისელი თანამშრომლები მიიღებენ ჰონორარს საგაზეთო კონტრაგენტურაში (ბულვარის პირდაპირ) 12-2 საათამდე. იპითხეთ ღონი.



ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენმა „ახალგაზრდა“ მწერლებმა დიდი ნაყოფიერება გამოიჩინეს და სამავალთო მუშაობა გააჩაღეს ლიტერატურულ ფრონტზე. ამ მოკლე ხანში დაიწერა ათობევრები რომანები, პოემები და დრამები. აქ მოვიყვან მხოლოდ, იმ „ახალგაზრდა“ მწერლების ნაწარმოებებს, რომლებიც უკვე დაამთავრეს და იბეჭდება.

ახალგაზრდა რომანისტმა მიხეილ ჯავახიშვილმა დასწერა ორი დიდი რომანი „კაცი, რომელსაც ხალამის მიცემა ჰირივით ეგვაგრებოდა“ და „აბუსალთაინი“. ორივე რომანი თანამედროვე ყოფა-ცხოვრებას ეხება. ახალგაზრდა მწერალ - დრამატურგმა ია ეკალაძემ დასწერა ერთი დიდი დრამა „წვიფის ზეთი“ და რომანი „დღეების დამე“.

მსკრუნველმა მგოსანმა გ. ლენინძემ დასწერა რომანისტური რომანი „ძველი მწერალი ჰიკოკო კირკიტაძე და მისი დახეული შალვარი“. ახალგაზრდა პოეტმა ილია ადლადემ დასწერა ოთხი რომანი. სათაურებს იგონებს.

**ჩვენი კომპოზიტორები**

თუ მიმდინარე წელში ჩვენმა მწერლებმა გამოიჩინეს სიწყობიერება და თავიანთი ნაწარმოებებით უამრავი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა, მათ არც ჩვენი ახალგაზრდა მუსიკოსები — კომპოზიტორები ჩამორჩნენ: ახალგაზრდა, ნორჩი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე გულმოდგინებით შეუდგა ახალი ოპერის წერას. ოპერას სახელად დაარქვა „დამისხი დამალეინი“, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვაგვიგეთ, ახალგაზრდა კომპოზიტორი თავის ოპერას დაასრულებს სულ მოკლე დროში. ასე, რომ პირველი სანიმუშო წარმოდგენა გაიმართება არა უგვიანეს 1972 წლისა. არც ახალგაზრდა პიონერ - კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი ჩამორჩა ბალანჩივაძეს. როგორც ვადმოგვცემენ, მას დაუწერია შესანიშნავი ოპერა — ამოცანა „ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ“...

**დაგრუნებული პოეტი**

გულში დილით „ძველი კოლხეთი“ დან საპაერო გზით ტფილისში მოფრინდა ქართველი დამახატებელი, მცხოვანი პოეტი ტიცინ ტაბიძე. ერთი თვეა რაც ის „ძველ კოლხეთს“ ესტუმრა და თავდადებით მუშაობს. მიუხედავად მეტისმეტრი მუშაობისაგან, დალილობისა, პოეტი მაინც კარგად გამოიყურება; „კოლხეთიდან“ აფრენისას პოეტს დაუწყია კინო - რომანის

„ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ეს კეშმარტებაა. პროლოგარულ მწერლებს, რომ კითხო, პოეტი არ ვარგა, რომელიც მათთან არ არის! ჰმ, სისულელია. პოეტი ის არის, ვინც ცაზე ფრინავს; — ასე მსჯელობდა ძველი მწერალი „კაპუეტი“.

გათენდებოდა თუ არა, სასაფლაოზე მიდიოდა, იქ აღამებდა და იქიდან მოქონდა ახლად გამომცხარი

„მე ცას ვუმღერ შივარგსა, მიყვარს სასაფლაო, ვერვის შემადარებსა გენაცაღე ფლაგი“ და სხვ.

წელი წელს ემატებოდა, პროლოგარული მწერლობა დილით - დღე გაიხარდა. გაიხარდნ მკითხველებიც. კაპუეტი მაინც ჯიუტობდა. — ეგენი რა პოეტები არიან, მუშებს, დაბრძოლებს, ტრაქტორებს უმღერაინ, მე კი აი, მშვენიერი ლექსი მოგიტანე ამხანაგო რედაქტორო, მიმართა კაპუეტმა რედაქტორს და ასმეტრიაინი ლექსი წაუკითხა:

მოვარეს ვაგარტყი შვარჩი სილა, ლურჯი ცა თავზე ჩამოვიხურე. კვირა დღე იყო, ღამაში დილა — ბაღში მაღონას უჩქვებდი ყურებს.

— ამხანაგო კაპუეტო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ გვიწავდა ისეთი ლექსები, რომელიც აღზრდის მუშებს.

კაპუეტმა ლექსი ხელად დაკეცა. — თქვენ არ გავქთ გრძნობა, მე მუშაზე წერას არც კი ვიცადრებ — სთქვა, ძან და გაზრახებული ვავიდა გარეთ...

„კენკრინო“-ს წერა და ტფილისში ჩამოფრენისას უკვე დაუმთავრებია. სურათს ამ დღეებში გადაიღებენ.

**სამაგალითო ნაშრომი**

ახალგაზრდა ისტორიკოს - დრამატურგ — პოეტ — ბელეტრისტ — ჟურნალისტ — კომპოზიტორ — მუსიკორმა იოსებ იმედაშვილმა დაამთავრა თავისი დიდი შრომა: „ძველი წიგნებით ვაპრობა საქართველოში და ქართველ ბუკინისტთა წარმოშობის ისტორია“. ეხლა სწერს დიდ დრამას „გარგანი“ და პოემას, „აღმაში ქოლოკი“.

ქა!

**სახელგამის პრემია**

სახელგამმა ამ დღეებში გამოაცხადა სამი პრემია საუკეთესო ნაწარმოებზე. უნდა დაიწეროს ერთი რომანი, ერთი დრამა და ერთი დიდი პოემა. რომანი არ უნდა იყოს არც მოკლე და არც საშუალო. სათაური

— ამხანაგო „კაპუეტო“, შენ არაფერი გვამს რეალობის, მაგრამ მე რა დავაშავე, მე ხომ საზრდო მინდა — უსაყვედურა კუქმა.

ამან ჩააფიქრა „კაპუეტი“, დაუბრუნდა ერთი წუთით მიწერი ცხოვრებას, მაგრამ არა, არ მინდა: — ეს ხომ ჩემი პოეტური ზეციური, ღვთისური მუშის ღალატია, ოხ, კუქო სადავლო, რატომ შენც არა გაქვს ჩემსავით მუშა, რატომ შენც არ წერ-ლექსებს, — იბრძოდა კაპუეტი, კუქო კი თავისას ითხოვდა.

— ოჰო, კარგი აზრი მომიცია, განა შეიძლება ისე ლექსის წერა, რომ ცხოვრებასთან არ მივიღე ახლოს, მუშებს რომ არ დაუხლოვდე? წარმოსთქვა მან და დასწერა ლექსი. რომელიც ასე იწყებოდა:

— მე მუშის ვუმღერ დღეიდან ძაბო, მუშის ბრძოლის ხელს და ხელთათმენსა, ლმობიო, დღეიდან შენც ჩემსკენ წამო და გლეხი მოგვემს სიმინდს ბაობანსა; ავასიროვებ დაბრკა - ქარსნებს, მაღლა დავკიდებ შავსს შივარგში პოეტი გივი მუშის ზმანებით, ციურ ოცნებით ივლის არემი.

რედაქტორმა გულდასმით წაიკითხა ეს ლექსი. „ამხანაგო კაპუეტო, თქვენ ვერ გავგიათ ჩვენი მშენებლობა. არ ხართ ახლოს ყოფა-ცხოვრებასთან“ — უთხრა ისევ რედაქტორმა.

— აი ფილისტერი!... რედაქტორის სკამზე დასკუპულა და წარმოდგენაც არა აქვს მხატვრულ შემოქმედებაზე! — წარმოსთქვა კაპუეტმა და ისევ სასაფლაოსკენ გაემშრა. „მუშის“ მოსაყვანად.

ივანიკა.


უნდა იყოს სხარტული, არა უმეტეს ხუთი სტრიქონისა. აუცილებელი პირობაა რომანი არ იყოს გაშლილი სიყვარულის ფრანგ და ამ ნადავზე არ მოხდეს ხანჯლების ტრიალი. დრამა აუცილებლად უნდა იყოს 25 მოქმედებანი, არც მეტი არც ნაკლები. მეოცდაოთხე მოქმედებაში ავტორმა ყოველ მიზეზს გარეშე ყველა მომქმედი პირი უნდა დახოცოს, მაგრამ იმ პირობით, რომ უკანასკნელი მოქმედება მაინც უნდა გაგრძელდეს. თუ რა ხერხით შეიძლება ასეთი დრამის დაწერა, ამის გაგება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ დიდი დრამის შემთხველ ცნობილ დრამატურგ პართენ გოთოლასთან. პოემა უნდა იყოს არც მოკლე და არც გრძელი და დაწერილი უნდა იყოს განსკინებული დიდი პოეტის პავლე აკობიას სტილით.

კა.






რეპეტიცია, — კარგად იციან!



როცა გამოდის სცენაზე, —  
სიტყვა არ მოხდის ენაზე.



გაიბერა, როგორც შინა,  
და მუშტებით დაიშინა.



ლექსის კითხვით დააძინა...  
დარბაზს სძინავს, როგორც შინა.

### უემოლამება მთაწმინდაზე

ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი  
მალე გახდება ტფილისის მზე და დამამშვენი.  
შენნი ადგილნი ვერანანი და უღაბურნი  
ბაღად აქციეს; ასპრეს ხენი ველურ-ტყურნი.

ფუნეკულერი აინთება ოდეს სადამოს,  
უოველი იქით მიისწრაფვის, რომ გულს აამოს.  
იღუმალემა მიატოვებს შენს არ-მერეს  
და ეკლესიას მიაშურებს სერზე მდგომარეს.

ბაღში რადიო ორატორობს მსოფლიო ამბებს:  
როგორ ანგრევენ მშრმელები მონობის დამგებს.  
ძირს გაშლილს ლამაზს ქალაქს ჰფენენ შუქს ელმუშებო  
(რას არ შექმნიან დალოცვილი ჩენი მუშები!).

მთაო ცხოველო, ხარ მცინარი, ხალისიანი,  
ვინ გიხილოს, რომელ მუხივე გახდეს მზიანი.  
ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი  
გახდა ტფილისის აგარაკი და დამამშვენი.

ბი-ლი.



# ბიუროკრატია და საზოგადოება

— ისილორ ივანეს-ძვე, ინებეთ ახალი ვაზეთი.

— რაო? რა სწერია ახალი? — შეგეკითხა მართველი საქმეთა - მართველს.

— ახალი ის რომ... როგორ მოგახსენოთ, ისილორ ივანე... აი „ტარტაროზი“-ს გამგებზე სწერია ჩაღაც...

— ესე იგი ჩემზე?

— არა ისილორ ივანე, ტრესტზე-მეთქი! — გამოასწორა შეცდომა საქმეთა - მართველმა.

— ეს ხომ ერთი და იგივეა? ტრესტი ეს ვარ.

— მართალს ბრძანებთ. დაემოწმა საქმეთა-მართველი.

— და მე ვარ გაწერილი?

— როგორ გეკადრებთ ისილორ ივანეს-ძვე... მაგრამ... აი, ინებეთ ვაზეთი! — რამოდენიმე წუთის შემდეგ მართველმა ვაზეთი ნაკუწებით აქცია.

—:—

— ახალი ვაზეთი, ისილორ ივანეს-ძვე!

— რა ამბავია ჩვენს თავს! ისეც გაგწერეს?

— დიას ისილორ ივანე! — მერე და რაღა შენ უნდა წააწყდე მინცდამინც ამ ოხერს?!.

— მე, ისე, ისილორ ივანე... ვნახე და გული მეტკინა, რომ ასე უღიერათ იყო მოხსენებული ჩვენი კაცთ მოყვარე მართვე... ჰო... ჩვენი „ტრესტი“...  
— ბრავოთ ვახელბეულმა მართველმა, ვაზეთი მაშინვე გაანადგურა.

—:—

— ისილორ ივანეს-ძვე...

— კიდევ ახალი ვაზეთი?

— არა ისილორ ივანეს-ძვე!

— მაშ რა ამბავია?

— ახალი „ტარტაროზია“.

— ეს ხომ უარესია!

— დიას რა თქმა უნდა.

— მერე-და, ამის ღირსი ვარ მე?

— არა ხართ, ისილორ ივანეს-ძვე!

— განა მე ბიუროკრატია ვარ?

— როგორ გეკადრებთ. ბიუროკრატის დამახასიათებელი თვისება სათვალეებია, თქვენ კი სათვალეებს თავის ღლეში არ ატარებთ!

— მე პროტექცია გამიწევია როლისმე?

— ვინ მოგახსენათ, ისილორ ივანე. თქვენ მხოლოდ და მხოლოდ თბილი გულის პატრონი ბრძანდებით!

გაავთრებულმა მართველმა „ტარტაროზი“ კალათში ჩაუძახა.

—:—

— ისილორ ივანეს-ძვე, ახალ...

— გაეთრიე კარში ამ წუთში; არ ვნახო ჩემს კაბინეტში. რაში მეკითხება მე ახალი ვაზეთი? სრულებით არა ვარ დაინტერესებული ვიღაც მგლანბნელებზე. მე ვარ მართველი და მახარია ტრესტი; ჩემი მოვალეობაა, გამოვიჩინო სილოს სიდინჯე, და ფინიების ყეფას ყურადღება არ მივაპყრო. სწორედ, ჩხრიკონ და შემდეგ თვითონვე იკითხონ. „ვის რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“, სწორედ ენა გრძელია ეს საქმეთა-მართველი. მისი ტრესტიდან მოხსნა აუცილებელია.

ზახჩო.

# დრამატურგთა კავშირში

კარგა ხანია ისეთი საქმიანი და მშვიდობიანი კრება არ მინახავს. ხელოვნების სასახლის სამკითხველომ დარბაზი და გრძელ მაგიდის გარემომოშობლარი დრამატურგნი. ნახი, ტკბილი, დაბალი ხმით ლაპარაკი. ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ რწყელის გაფრენას ვაიფიქრებდა კაცი.

მოხსენება გააკეთა ცნობილმა დრამატურგმა პოლიკარზე კაკაბაძემ. მან წარმოადგინა პროექტი: „უებარი საშუალება დრამა - კომედიების წერისა“. ეს სახელმძღვანელო თვით კაკაბაძის შეუდგენია. ის იყო კაკაბაძე შეუდგა თავის პროექტის დაწვრილებით განხილვას, რომ უცბათ მოისმა სირინოზის ხმა. ყველამ უურები ცქეტიდა. კაკაბაძე შეხერდა. სირინოზის ხმა აღმოჩნდა ბაზო ხერხეულიძე. დიდხანს ილაპარაკა, თუმცა თავმჯდომარეს სიტყვის წება არ მიუცია, მაგრამ ის მინც თავისას განაგრძობდა. მოჰყვა ცის, ხარის, ამ მთის ის მთის და ბოლოს კაკაბაძე იძულებული შეიქნა ეთხოვნა მისთვის მიეცა წება სიტყვის დათავების. ბაბომ როგორც იქნა დაათვა სიტყვა და დასასრულ სთხოვა კრებას მიეღო მისი ძველად დაწერილი ოთხი დრამა. კრება დიდის სიამოვნებით დასრულდა.

ის იყო კაკაბაძემ პირი გაალო და ლაპარაკი უნდა დაეწყო, რომ მაგიდის-მეორე ბოლოდან მოისმა წერილი ხმა.

კაკაბაძე შეკრთა და სიტყვა გაუწყდა. დრამატურგი ი. მჭედლიშვილი ზეზე წამოიღა, გაიღიმა, თავი განზე დახარა და ნახი ხმით შეღალადა კრებას:

— ამხანაგებო! მე ვიყავი მწყემსავ. საინტერესოა ცხვრების ცხოვრება. მაგეგონებთ ყოჩი, ქედლია, დედალი ცხვარი. მათ აღამიანებზე ნაკლებ არ იციან რომანტიული განცდა. მათ შორის ამ ნიადაგზე ხშირად ხდება დრამა-ტრადიციები. დავსწერე ცხვრების ცხოვრებიდან დიდი დრამა და გთხოვთ მიიღოთ.

მჭედლიშვილი დაჯდა და კრებამ სიამოვნებით მიიღო მისი წინადადება. კაკაბაძის მოხსენების შემდეგ

კრებამ დაადგინა: „აირჩიოს ბიურო, მიიღოს მჭედლიშვილის და ხერხეულიძის დრამები და ვაგზავნოს უკრაინაში რამდენიმე ქართული ორიგინალური პიესა გადასთარგმნად“.

ის იყო კრება დაიშალა, რომ უცბად მოისმა მჭედლიშვილის ვედრება. ყველა სმენად გარდაიქცა. მჭედლიშვილი წამოიღა, გულზე ხელები დაიწყო, თვალები ზეცისაკენ აღაპყრო და გულამოსკვნით შევედრა კრებას: „ამხანაგებო! გეგედრებით, გემუდარებით, თუ უკრაინელებს პიესა გაუგზავნათ, პირველად პოლიკარზე კაკაბაძის პიესა გაგზავნეთ. სთქვა ეს და ორი ობოლი ცრემლი ჩამოაგდო თვლებიდან.

კრებამ ივაცია გაუმართა მჭედლიშვილს.

—ქა

მზადდება და მ მისს გამოვა

„ტარტაროზი“-ს სპეციალური

ბ ა თ ო მ ი ს

ნომერი, თანამშრომლებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ მასალები



# კოზლოვსკი



რად მიხდა შვილი, რად მიხდა ძმაბი, -  
„ჩემი“ კოზლოვსკი როცა აჰ არი.

## გოღოღი

№ 2-ს (სოფ. მამათი, გურია). კარგი მშრომელი  
ოლიათ თბლებს:

ვინ არ იცნობს კილაძეებს  
ძმებს ერმილეს და ივანეს!  
თბლის დეკნა მოეწონათ,  
და ქურდულად წიყვიანეს!  
სამევიეროდ, ოფიციალურად დააბრუნებინებენ უკან

**გამწყვლავნიძემ** (საჩხერე). თუ სოფლის საბჭოს

თავმჯდომარე:

**ბარბაცი**თ მოდის მთვრალი

**მაქარაშვილი** ვანო.

**ბუტბუტებს** — აღარ ვიცი.

**საქმე** ვით დავაწუნარო, — უნდა შევიდეს მის  
იღვამარეობაში სამაზრო აღმასკომი და გაანთავისუფ-  
ლოს მძიმე მოვალეობისაგან; თორემ კაცმა სამი საქმე:  
თრობა, სროლა და საბჭოს თავმჯდომარეობა, — ერთად  
როგორ გააკეთოს? საჭიროა მისი განტვირთვა აღმასკო-  
მისაგან და აღმასკომის განტვირთვა — მისგან.

**მიხელს** (გრაკალი): მოკლეთ თქვენი წერილის ში-  
ნარსი ასეთია:

„მცხეთაში, როცა მატარებელი გაჩერდა, ჩვენი რო-  
ნოდა პირდაპირ სახაილიო „პურ-მარილის“ პირდაპირ  
დადგა. ვადვიყვანე ამხანაგი და ვადავკარით არაუი... რო-  
ცა გამოვედით, მიმავალ მატარებლის უკანასკნელ ვაგონს  
მოვკარით თვადი... თურმე ეხლა წახილისას მატარებლის  
ორთქლმავალი აღარ ჰყვირის“.

და ვანა ეს ცუდია?! არაყის სმას გადავარევეს... ლო-  
თობა ნაკლები იქნება.

„ს. ჯ“-ს (ბათოში). რომ არ შეგტყვევით, ინიციალე-  
ბით გიპასუხებთ, რომ თქვენი ლექსი „მსოფლიო მტარ-  
ვალებს“ გადავავ ზაენეთ ჩვენი გოდორის საშუალებით მი-  
სამართის და მიხედვით. ხოლო დავიტოვით

თქვეთვის მღერიან  
და ირხევიან  
ლამაზი არსნი — ბანოვანები.  
ხან აღვებთან,  
ხან დაწვებთან  
ფეხს გიკოცნიან, ვითა მონები.

სასწრაფო ფოსტით გადავავ ზაენეთ; ასე, რომ ეხლა  
მიღებულნი იქნებათ.

**თ. სოფელიშვილს**. პეტრე ლიპიშვილის შესა-  
ხებ. სწერთ:

„ერთ მშენიარ ღღეს, პეტრესათვის კი, „რასაკვი-  
რველია“, უბედურ ღღეს“... რასაკვირველია, თქვენი  
„რასაკურველია“ არ დაიბეჭდება“.

**რამბოს**. ღღეს მივიღეთ თქვენი მეორე წერილი,  
რომელშიაც გვატყობინებთ, რომ არ გაუშვიათ თქვენი  
პირველი წერილი, რადგან როგორც ეხლა გაიგეთ, ამბა-  
ვი არ შეეფერება სინამდვილეს.

ჩვენ მაინც არ ვებძლავდით თქვენს პირველ წე-  
რილს, რადგან ეტყობოდა, რომ ის არ იყო სინამდვილე.  
ასე, რომ ტყუილად შეგიწუხებთ თავე მეორე წერილის  
გამოვავანით.





„ვერ გაეკცევის მუშკორსა ჭაბუკი მოყმე მცხოვანი, მისმა მხოლებამ განგიმროს სუსტი და ძალგულოვანი“. ასე მოსთქმიდის, ტიროდის, მავნებულების ხროვანი, ფოხს მამა-პაპურ სატეფარს კალამი ბასრ-წვეროვანი.